

ზოონიმების სტილისტური და სემანტიკური ექსპრესია ინგლისურენოვან ზღაპრებში

ლარიბაშვილი მანანა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
<https://orcid.org/0000-0002-5118-3690>

ლაზვიაშვილი შორენა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
<https://orcid.org/0000-0002-4429-1044>
<https://doi.org/10.52340/tuw.2023.01.36.16>

აბსტრაქტი. ზღაპარი ხალხური სიბრძნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი და პოპულარული ჟანრია. იგი ძალზე დიდი ხნის წინათ ზეპირად შეუქმნია ჩვენს წინაპრებს. ზღაპრები უხვად გვხვდება მსოფლიოს მრავალ ენაზე. უშუალოდ, ზღაპრის ენა განსხვავდება კულტურული კონტექსტის მიხედვით, რომელსაც, უმთავრესად, ახასიათებს ამბის თხრობის მარტივი და პირდაპირი ფორმა, რაც კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდის ფართო აუდიტორიისთვის და ადვილად აღსაქმელს საზოგადოებისათვის, მათ შორის ბავშვებისთვის. თუმცა, თხრობის სიმარტივე არ ნიშნავს იმას, რომ ზღაპრის ტექსტი მოკლებულია მხატვრულ შეფერილობას. პირიქით, მასში უხვად ვხვდებით პოეზიის ელემენტებსა თუ მხატვრული ენის გამომხატველობით არაერთ საშუალებას, როგორცაა მეტაფორა-მეტონიმია, ეპითეტი, შედარება, სიმბოლიზმი და ა.შ.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ინგლისურენოვან ზღაპრებში ზოონიმების, როგორც მთავარი პერსონაჟების, სტილისტური და სემანტიკური ექსპრესიულობის დადგენა და იმის გარკვევა, თუ რა დოზით, ფორმით, კონტექსტითა და საშუალებებით ხდება ინგლისურენოვან ზღაპრებში ამ ლინგვისტური მოვლენების ასახვა.

კვლევისას გამოყენებულ იქნა ანალიზის მეთოდი, რის საფუძველზეც გაანალიზდა ჯაკობსის მიერ შედგენილი ინგლისურენოვანი ზღაპრების კრებული. კერძოდ, დეტალურად გადაიხედა ის ზღაპრები, რომლის მთავარ პერსონაჟებად ადამიანების გარდა, ფაუნის წარმომადგენლების სახით, სხვა ცოცხალი არსებებიც გვევლინებიან. კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ზღაპრის დისკურსზე დაკვირვება და იმის გააზრება-გაანალიზება, თუ როგორ მეტყველებენ ან მოქმედებენ მთავარი პერსონაჟის როლში გამოსული ფაუნის წარმომადგენელი ცოცხალი არსებები.

საკვანძო სიტყვები: ჯოზეფ ჯაკობსი, ინგლისურენოვანი ზღაპრები, ზოონიმები, სტილისტური ექსპრესია, სემანტიკური ექსპრესია

შესავალი

ზღაპრები ბავშვებისთვის არის უნივერსალური, მარადიული, თერაპიული, მშვენიერი და ლამაზი. ზუსტად ასე მოაღწიეს ჩვენამდე მთელი თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე. არ არის საჭირო ადამიანმა იცოდეს ზღაპრის საიდუმლო წარსული, მანამ სანამ ისინი აგრძელებენ არსებობას ჩვენს ცნობიერებაში. წარსული

საიდუმლოა. ზღაპრების ისტორიაც ხომ საიდუმლოებით არის მოცული (ZIPES, 2006:1).

ზღაპრები უხვად გვხვდება მსოფლიოს მრავალ ენაზე. უშუალოდ, ზღაპრის ენა განსხვავდება კულტურული კონტექსტის მიხედვით, რომელსაც, უმთავრესად, ახასიათებს ამბის თხრობის მარტივი და პირდაპირი ფორმა, რაც კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდის ფართო აუდიტორიისთვის და ადვილად აღსაქმელს საზოგადოებისათვის, მათ შორის ბავშვებისთვის. თუმცა, თხრობის სიმარტივე არ ნიშნავს იმას, რომ ზღაპრის ტექსტი მოკლებულია მხატვრულ შეფერილობას. პირიქით, მასში უხვად ვხვდებით პოეზიის ელემენტებსა თუ მხატვრული ენის გამომხატველობით არაერთ საშუალებას, როგორცაა მეტაფორა-მეტონიმია, ეპითეტი, შედარება, სიმბოლიზმი და ა.შ.

ზღაპრის, როგორც ჟანრის არაერთი განმარტება არსებობს. უპირველეს ყოვლისა, იგი აღიარებულია საბავშვო ჟანრის საკითხავ ლიტერატურად, რომელიც უფროსების ყურადღებასაც კი იპყრობს ხშირ შემთხვევაში, ვინაიდან ზღაპარს უჩვეულო მიმზიდველობის ძალა გააჩნია შინაარსობრივი თვალსაზრისით.

ზღაპარი ხალხური სიბრძნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი და პოპულარული ჟანრია. იგი ძალზე დიდი ხნის წინათ ზეპირად შეუქმნია ჩვენს წინაპრებს. ზეპირად, ვამბობთ, რადგანაც იმ შორეულ წარსულში ხალხმა ჯერ კიდევ არ იცოდა ასოების წერა. შემდეგ კი ამ ზეპირად მონათხრობს ხალხი მოსმენით იმახსოვრებდა და კვლავ ზეპირად გადასცემდა შთამომავლობას. მრავალი ასეული წლის განმავლობაში ეს ზეპირი ფანტასტიკური მოთხრობები ასე გადადიოდა კუთხიდან კუთხეში თაობიდან თაობაზე (შიუკაშვილი, 2016:7).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენს ინგლისურენოვან ზღაპრებში ზოონიმების, როგორც მთავარი პერსონაჟების, სტილისტური და სემანტიკური ექსპრესიულობის დადგენა და იმის გარკვევა, თუ რა დოზით, ფორმით, კონტექსტითა და საშუალებებით ხდება ინგლისურენოვან ზღაპრებში ამ ლინგვისტური მოვლენების ასახვა.

კვლევისას გამოყენებულ იქნა ანალიზის მეთოდი, რის საფუძველზეც გაანალიზდა ჯაკობსის მიერ შედგენილი ინგლისურენოვანი ზღაპრების კრებული. კერძოდ, დეტალურად გადაიხედა ის ზღაპრები, რომლის მთავარ პერსონაჟებად ადამიანების გარდა, ფაუნის წარმომადგენლების სახით, სხვა ცოცხალი არსებებიც გვევლინებიან. კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ზღაპრის დისკურსზე დაკვირვება და იმის გააზრება-გაანალიზება, თუ როგორ მეტყველებენ ან მოქმედებენ მთავარი პერსონაჟის როლში გამოსული ფაუნის წარმომადგენელი ცოცხალი არსებები.

შინაარსი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისურენოვან ზღაპრებში ადამიანების გვერდით, უხვად ვხვდებით ფაუნის ბევრ წარმომადგენელს დათვების, მგლების, მელიების, კატების, თაგვების თუ სხვა არსებების სახით.

კვლევის პროცესში, უპირველესად, მოხდა დაკვირვება ზოონიმების შემცველ ზღაპრის სათაურებზე, რომლებშიც ვხვდებით სახედარს, თაგვებს, კატებს, დათვებს,

ღორს, თევზებს და ჭიებსაც კი. მაგ.:

- THE OLD WOMAN AND HER PIG
- MOUSE AND MOUSER
- TITTY MOUSE AND TATTY MOUSE
- THE STORY OF THE THREE BEARS
- WHITTINGTON AND HIS CAT
- THE LAIDL Y WORM
- THE CAT AND THE MOUSE
- THE STORY OF THE THREE LITTLE PIGS
- THE FISH AND THE RING
- THE ASS, THE TABLE, AND THE STICK

თვალმისაცემია ზღაპრის სათაური - WHITTINGTON AND HIS CAT, რომელიც, ასევე, ცნობილია Dick Whittington and His Cat სათაურის სახელწოდებით ინგლისურენოვან ფოლკლორში. როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, ზღაპარი თითქოსდა ეფუძნება რიჩარდ უიტინგტონის (1354–1423), მდიდარი ვაჭრისა და მოგვიანებით ლონდონის ლორდ მერის ცხოვრების ეპიზოდებს. თუმცა, სინამდვილეში, არ არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სწორედ კატამ განაპირობა ცხოვრებაში რიჩარდ უიტინგტონის აღზევება.

საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს ერთ-ერთი ზღაპრის სათაური “Titty Mouse and Tatty Mouse”, სადაც, თითქოს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ალიტერაცია-ასონანსის წყალობით, სათაური მეტად მიმზიდველი და ექსპრესიულია, რომელიც გაცნობისთანავე იპყრობს მკითხველის ყურადღებას.

„THE CAT AND THE MOUSE“ (კატა და თაგვი) ზღაპრის სათაურიდანვე ჩანს, თუ, უშუალოდ ტექსტში ვის შორის იქნება შერკინება და ერთგვარი შეურიგებელი ბრძოლა. სიუჟეტის გაცნობისას კი, კატასა და თაგვთან ერთად, ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პერსონაჟად გვევლინება ძროხა. ლინგვისტური თვალსაზრისით, თხრობა მეტად საინტერესო ფორმით ე.წ. გალექსით იწყება,

The cat and the mouse
Play'd in the malt-house:

მოცემულ შემთხვევაში, რითმას ორივე სტრიქონის ბოლოკიდური ხმოვან-თანხმოვნების კომბინაცია mouse → house ქმნის და რომელიც სტილურად ალიტერაცია-ასონანსის ნათელი მაგალითია. ბუნებრივია, მოცემული სტილისტური დეტალი მთავარ სათქმელს კიდევ უფრო მაღალმხატვრულსა და მიმზიდველს ხდის. ტექსტს ექსპრესიულობას, აგრეთვე, აძლიერებს ზმნა play-ს წარსული დროის არქაული ფორმა - Play'd.

იგივე ზღაპარში, კატის (cat) სინონიმსაც ვაწყდებით, რომელიც წარმოდგენილია სიტყვა puss -ის (ფისო, ფისუნა) სახით. ეს სინონიმი, შემთხვევით როდია ტექსტში შემოტანილი. მას განსაკუთრებული სემანტიკური დატვირთვა აქვს, რომელიც, გამომდინარე იქიდან, რომ კატის მოფერებით ფორმას წარმოადგენს, ერთგვარი „ფანდია“ თაგვის მხრიდან კატის მოსატყუებლად. როგორც ბევრ სხვა

ზღაპრებსა თუ ანიმაციურ ფილმებში, სუსტი ფიზიკური შესაძლებლობების გამო, თაგვები ხშირად მიმართავენ მსგავსი ფორმის ტექნიკებს მოწინააღმდეგის დასამარცხებლად ან მოსაგერიებლად. მოცემული ენობრივი შემთხვევაც, ერთგვარი დასტურია სუსტი არსებების მხრიდან ამ ფენომენალური შესაძლებლობისა.

განსხვავებით წინა ზღაპრისა „THE CAT AND THE MOUSE“, სადაც ცხოველების სახით (კატა, თაგვი, ძროხა) მოქმედი გმირები მეტყველებენ და საინტერესო მხატვრულ პასაჟებს ქმნიან ზღაპრის ტექსტში, ვითარება, ამ თვალსაზრისით, განსხვავებულია მომდევნო ზღაპრის ტექსტში „WHITTINGTON AND HIS CAT“, სადაც ზღაპრის პერსონაჟებად, კვლავ, კატა, თაგვები და ვირთხები გვევლინებიან, თუმცა იმ განსხვავებით, რომ უშუალოდ ტექსტში მათი იდენტიფიცირება მოქმედებებით და არა მეტყველების საშუალებით ხდება. კიდევ ერთი ასპექტი, რაც კონცეფტუალურად განასხვავებს წინა ზღაპარს მოცემული ზღაპრის შინაარსისგან, მდგომარეობს იმაში, რომ ზღაპარში „WHITTINGTON AND HIS CAT“ კატა, როგორც მთავარი მოქმედი პირი დადებით კონტექსტშია წარმოჩინებული, ხოლო თაგვები და ვირთხები - უარყოფით არსებებს წარმოადგენენ და ტექსტში მოხსენიებულნი არიან, როგორც ნეგატიური კონოტაციის მატარებელი სიტყვით - vermin (პარაზიტები, მავნებლები).

იმის დასტურად, რომ კატა მოცემულ სიტუაციაშია დადებითი პერსონაჟია მთელი რიგი მხატვრულად დატვირთული ფრაზები მოწმობს. მსგავსად წინა ზღაპრისა, აქაც კატის სინონიმად გამოყენებულია სიტყვები Puss და Pussy. ვითარების ესკალაციის შესაბამისად, კატისადმი, როგორც მთავარი მოქმედი პირისადმი მიმართების ფორმები თუ მახასიათებელი სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით არის გადმოცემული. როგორც ზღაპრის ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, მის მთავარ „საგმირო საქმედ“ ვირთხებისა და თაგვების განადგურება ითვლება, რის გამოც ერთ-ერთ პასაჟში კატა ეპითეტის წყალობით აღწერილია როგორც excellent mouser (შესანიშნავი თაგვიჭერია). სხვადასხვა კონტექსტიდან გამომდინარე, იგი, ასევე მოხსენიებულია როგორც „poor puss“ (საწყალი ფისო) ან ნეიტრალური მნიშვნელობით „creature“ (არსება). მას შემდეგ, რაც ამ მოქმედი გმირის საოცარი ფიზიკური შესაძლებლობები სახელს იხვეჭს, ტექსტში მისდამი მიმართების ფორმებიც კონოტაციურად დადებითისკენ იცვლება და კატა მოხსენიებულია როგორც **Miss Puss** (ქალბატონი ფისუნა) და მეტი ექსპრესიულობისათვის, გრაფიკული თვალსაზრისითაც, გამოყენებულია მთავრული ასოები საწყის პოზიციაში.

ენობრივი თვალსაზრისით, მეტად საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს ზღაპარი „MOUSE AND Mouser“ (თაგვი და თაგვიჭერია), რომელიც სტერეოტიპულად სცდება ზღაპრის ტექსტის ფორმატს და სიუჟეტი ვითარდება დიალოგის რეჟიმში. კატისა და თაგვის „ტანდემი“ სათაურშივე ჩანს, სადაც კატა ჩანაცვლებულია სინონიმური წყვილით „Mouser“ (თაგვიჭამია), რომელიც ლინგვისტური თვალსაზრისით საუკეთესო ხერხად შეიძლება ჩაითვალოს კატის, როგორც უარყოფით კონტექსტში წარმოსაჩენად.

დიალოგში თაგვი თავაზიან ფორმას იყენებს და კატას მიმართავს - my lady (ჩემო ქალბატონო), მაშინ როდესაც კატა, როგორც უარყოფითი პერსონაჟი

მიმართვისას მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში გააზრებული ფორმით good body (კარგო ადამიანი) შემოიფარგლება, რომელშიც შეინიშნება კატის თავკერძა და დამცინავი ხასიათი. ზღაპრის დასასრულს ფარდა ეხდება კატის თავვისადმი უარყოფით დამოკიდებულებას, სადაც ის საცოდავ თავს სიცოცხლეს გამოასალმებს.

უაღრესად საინტერესო ზღაპარს წარმოადგენს THE STORY OF THE THREE LITTLE PIGS (სამი გოჭის ამბავი) როგორც ლინგვისტურად, ისე კონცეპტუალურად, ვინაიდან მასში ირღვევა ცხოველების გარშემო საზოგადოებაში, როგორც მკითხველში გავრცელებული გარკვეული სტერეოტიპები. როგორც სათაურიდან ირკვევა, ზღაპრის მთავარ გმირებს სამი გოჭი წარმოადგენს, რომლებსაც დაუძინებელ მტრად მგელი ევლინებათ.

ზღაპარს, მისთვის უჩვეულო, არადამახაიათებელი პროლოგი აქვს პოეტური ნაწყვეტის სახით:

*Once upon a time when pigs spoke rhyme
And monkeys chewed tobacco,
And hens took snuff to make them tough,
And ducks went quack, quack, quack, O!*

ტექსტი სავსეა ზოონიმების (pigs, monkeys, hens, ducks) მაგალითებით, რომელიც სრულიად ჰიპერბოლიზებულია და გაპიროვნებისა (pigs spoke rhyme) თუ მხატვრული მეტაფორებით (monkeys chewed tobacco... hens took snuff to make them tough) გაჯერებული. ამგვარი, არაორდინალური პროლოგის სახით, სახეზე გვაქვს მხატვრული ექსპრესიულობა, რომელიც მკითხველში დადებითი განწყობის შექმნას ემსახურება კითხვის გაგრძელების მიზნით. აღარ ვსაუბრობთ სხვა მხატვრულ ხერხებზე ალიტერაცია-ასონანსისა (time rhyme ; snuff tough) თუ მრავაკავშირის/პოლისინთეტონის (And monkeys ... And hens ... And ducks) სახით, რომლებიც ისედაც უაღრესად საინტერესო პროლოგს, კიდევ უფრო მდიდრულ მხატვრულ ელფერს ჰმატებენ.

ზღაპრის ამ პატარა პასაჟის ლინგვისტური ანალიზი უკვე სრულიად საკმარისი იქნებოდა ზოონიმების ლინგვო-სტილისტური სურათის გასაშლელად, თუმცა უშუალოდ ზღაპრის ტექსტიც არანაკლებ მდიდარი და საინტერესოა ზოონიმებთან დაკავშირებული ამგვარი მაგალითებით. ზღაპრის მთავარ გმირებად გვევლინებიან სამი გოჭი და ვერაგი მგელი, რომლის გარშემო შექმნილი დაუმარცხებელი მხეცის სტერეოტიპი ერთიანად იმსხვრევა ჭკვიანი გოჭის გონივრული ქმედებების ფონზე.

პრაქტიკულად, შეიძლება ითქვას, როგორ უჩვეულო ფორმითაც იწყება ზღაპარი, ისეთივე უჩვეულო ეპილოგი გააჩნია მას. ეს არის სტერეოტოპების ერთგვარი მსხვრევა. მაშინ როდესაც, მკითხველის თვალში გოჭი სუსტ და დაუცველ არსებად წარმოჩინდება, ხოლო მგელი ბოროტი და უძლველი მხეცია, მოცემულ ზღაპარში მოვლენები სრულიად საპირისპიროდ ვითარდება. სამი გოჭიდან ერთი უაღრესად გამჭრიახი გამოდგება, რომელიც ეშმაკური და გონივრული ქმედებებით სჯობნის მგელს ჭკუაში, სამუდამოდ ამარცხებს მას და, უფრო მეტიც, მისი ხორციტ ჭამით ტკბება.

ჯაკობსის მიერ შედგენილ ინგლისურენოვან ზღაპრების კრებულში მოქმედ

გმირებად ასევე გვხვდებიან დათვები. ერთ-ერთ ზღაპარში THE STORY OF THE THREE BEARS, დათვები მთავარ გმირებად გვევლინებიან. საინტერესო ენობრივ შემთხვევასთან გვაქვს შეხება კონკრეტულ სიტუაციაში, ვინაიდან ზღაპრის მთავარი მოქმედ გმირები რაიმე კონკრეტული საკუთარი სახელების მატარებელი როდი არიან. ისინი საზოგადო სახელით „Bear“ არიან მოხსენიებულნი, თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ მათ ახლავთ მსაზღვრელი სიტყვები სინონიმურ წყვილებში, რაც მკვეთრად უსვამს ხაზს თითოეული მოქმედი გმირის ფიზიკურ თვისებებზე და, ამავდროულად, გადმოცემის ფორმაც უფრო მეტად მხატვრული და ექპრესიული ხდება. მაგ. a Great, Huge Bear (დიდი, უზარმაზარი დათვი); a Little, Small Wee Bear (პატარა, პაწაწინა დათვი). მკითხველის ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ მთელ ტექსტში ეს ფრაზები საწყის პოზიციაში მთავრული ასოებით არის გამოხატული, რაც ექსპრესიულობის თვალსაზრისით, კიდევ უფრო ამძაფრებს პერსონაჟის გარეგნულ თვისებებს.

ზღაპრის სიუჟეტიდან ირკვევა, რომ დათვები, როგორც მთავარი პერსონაჟები ძალიან კეთილი და თავაზიანი არსებები არიან. ამას მოწმობს რამდენიმე საინტერესო პასაჟი, კერძოდ:

„If she had been a good little old Woman, she would have waited till the Bears came home, and then, perhaps, they would have asked her to breakfast; for they were good Bears—a little rough or so, as the manner of Bears is, but for all that very good-natured and hospitable.“

„ის რომ კარგი მოხუცი ყოფილიყო, დაელოდებოდა, სანამ დათვები სახლში დაბრუნდებოდნენ, შემდეგ კი, ალბათ, საუზმეზეც მიიპატიებდნენ, რადგან ისინი ხომ კარგი დათვები იყვნენ - ცოტა უხეში ან ამდაგვარი, როგორც ეს დათვებს შეჰფერით, მაგრამ მაინც ყველასთვის ძალიან კეთილი და სტუმართმოყვარე.“ (ავტორისეული თარგმანი).

როგორც ზღაპრის ტექსტიდან ირკვევა, დათვები ასევე სისუფთავის მოყვარული არსებები ყოფილან. ამას მოწმობს ტექსტის ბოლოს მინიშნების სახით გაკეთებული კიდევ ერთი საინტერესო წინადადება:

„Now the window was open, because the Bears, like good, tidy Bears, as they were, always opened their bedchamber window when they got up in the morning.“

„ახლა ფანჯარა ღია იყო, რადგან დათვები, როგორც კარგი, მოწესრიგებული დათვები, ყოველ დილით, ადგომისთანავე ხსნიდნენ თავიანთი საძინებლის ფანჯარას დილით“ (ავტორისეული თარგმანი).

დიახ, დათვიც შეიძლება იყოს კეთილი, სუფთა და მოწესრიგებული. გოჭსაც შეუძლია მოუხმოს გონებას, და გონივრული მოქმედებებით დასჯაზნოს თავისზე ფიზიკურად ძლიერი, კატასაც შეუძლია კეთილი საქმეების კეთება და ადამიანების ხსნა განსაცდელისგან.... ეს ხომ ფანტასტიკური ჟანრის ნაწილია, იმ ჟანრისა, სადაც სიკეთე ყოველთვის თუ არა, ხშირად იმარჯვებს ბოროტებაზე.

ზღაპარს გაცილებით დიდი დანიშნულება ჰქონდა ოდითგანვე, რომელიც საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ იცვლებოდა, იხვეწებოდა, თუმცა არასდროს დაუკარგავს საკუთარი ფუნქცია და ადგილი მხატვრული ენის დიდ პალიტრაში. ის მუდამ იყო და რჩება საზოგადოების თანამზგავრის როლში, რომელიც

მუდმივ ცვალებადობასა და განვითარებაშია. სადღეისოდ, კი ის უკვე თამამად წარმოდგენილია როგორც დამოუკიდებელი ზეპირსიტყვიერი ჟანრი.

ლიტერატურა:

1. შიუკაშვილი. თ., (2016), ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების ტიპოლოგიური შედარება-შეპირისპირება, დისერტაცია, თელავი
2. English Fairy Tales collected by Joseph Jacobs, New West Press
3. ZIPES, J., (2006), FAIRY TALES and the ART of SUBVERSION. The Classical Genre for Children and the Process of Civilization, second edition, Routledge

Stylistic and Semantic Expression of Zoonyms in English Fairy Tales

Garibashvili Manana

Iakob Gogebashvili Telavi State University
<https://orcid.org/0000-0002-5118-3690>

Lazviashvili Shorena

Iakob Gogebashvili Telavi State University
<https://orcid.org/0000-0002-4429-1044>

Abstract

A fairy tale is one of the oldest and most popular genres of folk wisdom. It was created orally by our ancestors a long time ago. Fairy tales exist almost in all languages of the world. The language of the fairy tale is interpreted according to the cultural context, which is mainly characterized by a simple and direct form of storytelling, which makes it even more accessible to a wide audience. However, the simplicity of the narration does not mean that the text of the fairy tale is devoid of artistic coloring. On the contrary, we can find in it a lot of elements of poetry or artistic language, such as metaphor-metonymy, epithet, comparison, symbolism, etc.

The aim of the research is to determine the stylistic and semantic expressiveness of zoonyms, as the main characters, in English fairy tales and to find out in what form, context and means these linguistic phenomena are reflected in English fairy tales.

The analysis method was used during the research, on the basis of which the English fairy tales compiled by Jacobs was analyzed. In particular, the fairy tales whose main characters are not only humans, but also other living beings in the form of representatives of the fauna have been reviewed in detail. It was particularly interesting for the research to observe the discourse of the fairy tale and to understand and analyze how the living creatures representing the fauna, representing as the main characters, speak or act throughout the text.

Key words: Joseph Jacobs, English-language fairy tales, zoonyms, stylistic expression, semantic expression